



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 043/12¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სალომე ჩიკვილაძე (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორის პრეტენზიას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ადვოკატმა ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობისას გააგრძელა ორივე კლიენტის ინტერესების დაცვა და განმცხადებელს არ გაუწია კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურება სააპელაციო სასამართლოში. ადვოკატი საქალაქო სასამართლოშიც იცავდა როგორც მის, ასევე მისი დის ინტერესებს. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ჩანს, რომ ნ. კ. მის წინააღმდეგ მისცა ჩვენება, რასაც სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნო. ასეთ შემთხვევაში ადვოკატი ვალდებული იყო რომელიმე მათგანის დაცვაზე უარი ეთქვა. ადვოკატის პოზიციით მან განმარტა, რომ მისი ქმედება სრულად შეესაბამებოდა პროფესიული ეთიკის ნორმებს და ის მოქმედებდა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ იმსჯელა აპეკ-ის 6-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-3, მე-4 ნაწილების, ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე. აღნიშნული მოიცავს კანონისა და ეთიკის ნორმების დაცვით კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ მომსახურებას. ადვოკატი გ.დ. კეთილსინდისიერად ახორციელებდა შ. გ. და მისი დის ნ. კ. ინტერესების დაცვას სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობისა და მესაკუთრედ ცნობის საქმეს. ადვოკატის ქმედებები ორიენტირებული იყო კლიენტის ინტერესებზე. ამ საქმეში კომისიამ შეაფასა ადვოკატის ქცევა კანონიერი და ეთიკური საშუალებებით კლიენტის დაცვის ვალდებულების ფარგლებში და განმარტა, რომ ადვოკატის მომსახურება რეგულაციების შესაბამისი იყო. ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა არ წარადგინა სასამართლოში მის მიერ დასახელებული მტკიცებულებები, ვინაიდან აღნიშნული ეფუძნება მხოლოდ კლიენტის განცხადებას, ადვოკატის განმარტებით, მან ყველა ის მტკიცებულება წარუდგინა სასამართლოს, რის შესახებაც მისთვის ცნობილი იყო და საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება ეთიკის კომისიის დასაბუთებული ვარაუდისათვის საკმარისი საფუძვლის შესაქმნელად, რომ ადვოკატმა არ წარუდგინა სასამართლოს კლიენტის მიერ მისთვის დასახელებული მტკიცებულებები.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ არ დაადგინა აპეკ-ის მე-6.1, 6.3, 6.4 მუხლების, 8.5 მუხლის დარღვევა და არ დაიწყო დისციპლინური დევნა ადვოკატის მიმართ.

¹ <https://gba.ge/pdf/5c52a0230bf32.pdf/5c52a0230bf32.pdf>